



მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №5

2017 წლის 13 იანვარი

ქ. მცხეთა

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვში რეგისტრირებული მოქალაქე მარიამ მრევლიშვილის (პ/ნ №31001057479) სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებლად მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მეორე ნაწილის, „მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №2 დადგენილების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 12 იანვრის №05/4/517 მომართვის საფუძველზე,

1. მიეცეს თანხმობა მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას, დააფინანსოს სოფელ ძეგვში მცხოვრები მოქალაქე ვახტანგ მრევლიშვილის (პ/ნ №31001008280) მცირეწლოვანი შვილის მარიამ მრევლიშვილის (პ/ნ №31001057479) სამედიცინო მომსახურება 1 529 (ერთი ათას ხუთას ოცდაცხრა) ლარისა და 25 თეთრის ოდენობით.
2. განკარგულების შესახებ ეცნობოს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება, გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: მცხეთა, სამხედროს ქ №17.

საკრებულოს თავმჯდომარე



ჯემალ სოლოლაშვილი